თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტი თსუ დესპანი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი 2007 წლიდან აქტიურ საგანმანათლებლო ღონისძიებეს ანხორციელებს საქართველოს სკოლებში.

საბავშვო უნივერსიტეტის მიზანია სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცის დაახლოება. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტით იგი ცდილობს აბტიტურიენტის გზამკვლევის ფუნქცია შეასრულოს პროფესიის არჩევასა და დაგეგმაში.

მიზნის მისაღწევად რადენიმე პროექტი განხორციელდა. უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა (თსუ დესპანი), სხვადასხვა სპეციალობის ფარგლებში წაკითხული ლექციები (ნორჩთა სკოლები) და ა.შ.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა დაიწყო ახალ პროექტი, რომლის მიზანია აბიტურიენტების ინფორმირება მომავალი პროფესიის შესახებ. პროექტის სახელწოდებაა: ,,გააცანი შენი პროფესია“.

უნივერსიტეტში არსებული 6 ფაკულტეტი 51 ვიწრო პროფილს (სპეციალობას) სთავაზობს აბიტურიენტს. თითოეული სპეციალობა გამოირჩევა სწავლების სპეციფიკით. იმისათვის რომ აბიტურიენტმა სწორად დაგეგმოს საკუთარი პროფესიული კარიერა, საჭიროა ზუსტად იცოდეს თუ რას გულისხმობს მისთვის სასურველი სპეციალობა. რა უნდა გაითვალისწინოს არჩევის დროს.

სპეციალობის შესახებ სასურველია აბიტურიენტმა ინფორმაცია მიიღოს სტუდენტისგან, რომელმაც მოახერხა დარგის არჩევა. მეთოდი საშუალებას აძლევს აბიტურიენტს იყოს უფრო მეტად გახსნილი ფორმალური თუ არაფორმალური კითხვების დასმის დროს.

მსგავს პროექტებში სტუდენტთა ჩართვის გამოცდილება თსუ საბავშვო უნივერსიტეტს უკვე აქვს, მაგ., პროექტი თსუ დესპანი, რომლის მიზანი აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტის გაცნობაა. მართალია, ამ პროექტის ფარგლებში, სტუდენტები საკუთარი პროფესიის შესახებაც ყვებოდნენ, ეს არ ყოფილა სისტემური და სავალდებულო კომპონენტი. პირველ წელს თუ უნივერსიტეტის დესპანთა რიცხვი 120 იყო, მეორე წელს 600 -ზე მეტი სტუდენტი ჩაერთო აღნიშნულ პროექტში და ინტერესი კიდევ უფრო იმატებს.

პროექტებში სტუდენტთა ჩართვის პოზიტიურ გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტი ,,გააცანი შენი პროფესია“ ანალოგიურ სისტემას დაეფუძნა.

- ✓ **თსუ საბავშვო უნივერსიტეტი ზამთრის არდადეგებზე სტუდენტებს პროექტ ,,თსუ დესპანში“ მონაწილეობას სთავაზობს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ პროექტი ითვალისწინებს თსუ-ის სტუდენტის მიერ (ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) ზამთრის არდადეგებზე მშობლიურ სკოლაში უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი ლექციის წაკითხვას.**

- ✓ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც იმყოფება მე-2 სემესტრზე ზემოთ.
- ✓ პროექტში აპლიკაციების მიღება იწარმოებს 8 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით.
- ✓ აპლიკაციების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ფოსტით მიიღებთ
- ✓ დესპანებს პროექტში მონაწილეთა სიებს ნახვა თსუ დესპანის Facebook გვერდზე შეეძლებათ.
- ✓ დესპანებთან შეხვედრის სავარაუდო თარიღი 27 იანვარი 5 თებერვალი (იგულისხმება მოცემულ შუალედში არჩეული დღე)
- ✓ დესპანების მიერ მშობლიურ სკოლებში პრეზენტაციის ჩატარების თარიღი: 10 თებერვალი 9 მარტი.
- ✓ სკოლებში ჩატარებული პრეზენტაციების დამადასტურებელი ფოტო მასალის (3 ფოტოსურათი, რომელიც აღწერს კონკრეტულ სკოლას, აუდიტორიას და დესპანს) გადმოგზავნის ბოლო თარიღია 16 მარტი
- ✓ პრეზენტაციის ხანგრძლივობა 60-90 წთ.
- ✓ პრეზენტაციის მასალას მოგაწოდებთ პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი
- ✓ ერთ სკოლაში რამდენიმე დესპანის მიერ პრეზენტაციის ჩატარების შემთხვევაში დესპანებს ევალებათ პროექტ: ,,გააცანი შენი პროფესიის: წარდგენა
- ✓ დესპანებთან შეხვედრაზე დესპანის მოსვლა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი გამოეთიშება პროექტს (თუ გაცდენას არ ახლავს ობიექტური მიზეზი, მაგ. გამოცდა, ავადმყოფობა)
- ✓ დესპანებს აუდიტორიისთვის ევალებათ ,,თსუ საბავშვო“ უნივერსიტეტის გაცნობა.
- ✓ ერთ სკოლაში რამდენიმე დესპანის არსებობის შემთხვევაში ჯგუფმა უნდა შეათანხმოს პრეზენტაციის ერთი დღე.
- ✓ ერთ სკოლაში პრეზენტაციის ჩატარების შემდეგ, განმეორებით (სხვა ჯგუფის მიერ) პრეზენტაციის ჩატარების (თუ სკოლა არ ითხოვს) შემთხვევაში პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი უფლებას იტოვებს არ ჩათვალოს მეორე პრეზენტაცია.
- ✓ პროექტში მონაწილეებს სკოლებში განაწილების ცხრილს პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი მოაწვდის.
- ✓ ერთ მონაწილეს წინასწარ შეთანხმებით შეუძლია რამდენიმე სკოლაში ჩაატაროს პრეზენტაცია
- ✓ პროექტის შესახებ ინფორმაციას განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამის რესურს ცენტრებს პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი მიაწვდის.
- ✓ პროექტის დასრულების შემდეგ დესპანებს გადაეცემა სერთიფიკატი, რომელსაც სტიპენდიის კონკურისის დროს გამოიყენებენ

აპლიკაციების მიღება იწყროებს 8 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით მეილზე junior@tsu.ge. სააპლიკაციო ფორმა განთავსებული იქნება, როგორც ვებ-გვერდ junior.tsu.edu.ge /კატეგორია პროექტები/ ასევე Facebook.com/თსუ-დესპანი/TSU-envoy და Facebook.com/თსუ საბავშვო უნივერსიტეტი, tsu.edu.ge, sms.tsu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ ზემოთ მითითებულ მისამართებზე ან მობრძანდით თსუ I კორპუსი ოთახი # 326

პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი მადლობას გიხდით პროექტში მონაწილეობისთვის